



ნ. ლაშვილი

— იქნებ, უმაღლესი დავათმავრო და 10 წელი, რვაწლიანი სკოლა ვერ დაუმთავრებია!

№ 16 (1314) აგვისტო 1969

საქმე


გამოცემის 46-ე წელი ფასი 20 კპ.



— გარემო, გიჟიდი ფარეზებს, როცა ფული მქონდება!..
— გარემო, თუ ქმა ხარ, გავფხვს მართალი ეგონება, სადაა ფარეზები?



— რაც გაყარში ხილი გაქვირდა, ძირნაყარ ვაშლსაც აღარ ვეჭმევინ!



2.69

— ბრანდონიერო შაჰანაქევი! რატომ მოჰქალით ჯიხვი!
— აბა, რა მქნა? ნამდვილი ყანაი ვერსად ვიშოვნე, ყველგან კლასტმასისას ყიდინა.

გერვეული ჭირი

ჩვენი სახლის წინ, კიოსკში, გამყიდველი იყო, რწყილს ატყავებდა. არც ჩხუბს ვაკლებდით და არც ჩივილს, მაინც ჩვენი ჯიბით დულდა და გადმოდულდა. ბოლოს მოკვდა და ძალიან დაგეწყვიტა გული. კაციშვილი იყო მაინც და, რაც მთავარია, შეჩვეულები ვიყავით, მაგრამ მის აღვილას რომ ბიჭი დანიშნეს, იმან გადაგვრია, თუ გადაგვრია.

ერთი ვნახოთ, მორბის სახლში ჩემი ბიჭი, მიწას არ აკარებს ფეხებს, ათი ნახევარლიტრიანი ჩაგაბარე და მანეთი და ოცი კაპიკი მომცაო, მახარა. სწორედ მოუცია და რაღას ირგვი-მეთქი, ვუთხარი, თან გავიფიქრე, ახალი ცოცხია და ეგაა-მეთქი. მერე ცოლმა მითხრა, ზუსტად ოთხასი გრამი კარაქი ამიწონა და ხურდაც სულ კაპიკ-კაპიკ ჩამითვალაო. ბოლოს მე მივედი, „დაისი“ ვთხოვე. დაობებულია, „თბილისს“ გირჩევთო. ვაჰ, არა ხუმრობ-მეთქი? არაო და... გამიღიმა გამოვართვი „თბილისი“ და წამოვედი.

სულ ამ ღიმილ-ხურდის დაბრუნებაში გაიყვანა ერთი კვირა. ერთი თვე, ერთი კვარტალი... ხალაიიც ისე უქათქათებდა, გვგონებოდა, ამ წუთას ჩაიცვაო. ვაჰ, დავიჯვრო, ანგელოზია?! აბა, კიდე თვე გავიდა. მეტი ველარ მოვითმინე და მივადექი:

— ბიჭო, შენი თავი მუხრან-ბატონი ხომ არა გგონია, ა?!

— სად მე და სად მუხრან-ბატონი? ნეტა, მაგას რად მეკითხები?! — გაიკვირვა.

— გეკითხები კი არა, შე მაბაცნონებულო, დაგვაგიჟე ხალხი!

ხურდას შენ არ იტოვებ, წონაში შენ არ გვატყუებ, თანაც ისე გვირჩევ საქონელს, ვითომ ობლები ვიყოთ, ვაა?! — დაეუბრიალე თვალები.

ახლა კი გამოცინა:

— პოო, განა თქვენ პირველი ბრძანდებით? ერთი თვე იქნება, სუყველა მეკითხება, მაგას რად სჩადიხართ.

შენ იცი-მეთქი და წამოვედი გაწბილებული. სახლში ცოლი და-გარიგე, ხურდა ძალით დაეტოვებინა. მომდგა მეორე დღეს დედა-კაცი და სულ ქოქოლა მაყარა. რა მოხდა-მეთქი? ბევრს მეხვეწაო, აიღეთ ხურდა, ქალბატონო! ბოლოს ერთი წამოწითლდა სახეზე და იყვირა: მე თქვენი მათხოვარი კი არა ვარო! გამოვართვი და ასე შერცხვენილი წამოვედი. ამ ამბავმა სულ გადამრია კაცი. ცოლს ვუთხარი, ალბათ ხურდა ეცოტავა და მაგას ვუჩვენებ სეირს-მეთქი. მოვიქექე ჯიბეები (ხელფასი ახალი აღებული მქონდა) და მივა-შურე კიოსკს. ორასი, ასორმოცდაათი, სამას ოცი, და რა ვიცი, რამდენ-რამდენი გრამი ავაწონე — ყველიო, მარგარიტო, მაკარო-ნო, შაქარიო და რაღა არა. სულ მისხლობით ჩამიწონა. ვანგარი-შებინე და ორი მანეთიც ზედმეტი დავუდევი წინ. ეს ზედმეტია. გადმოგვყავთ. „კი არ გადმოყვა, ძალად გადმოვაყოლე!“ — გფიქრობ და ისევ ვეუბნები, იანგარიშოს. ზედმეტიაო, ისევ მითხრა.

— გაძლევ, ხომ არ გართმევ, ბიჭო, აიღე რაღა და ჩაიდე ჯიბეში, რა გენადგლება! — ჩავუღიმილე.

თავი გადააქნია და მითხრა:

— რას ბრძანებთ, ბატონო?


— შენ, კაცო, გამყიდველი ხარ თუ ზრდილობის მასწავლებელი? რა ბატონობით მელაპარაკები?! — ხმას ავუწიე.



— სანადიროდ მიდიხარ, იკოლიტე?
— არა, სოფელში მიმყავს მემკობარი ძაღლი, ვეგება გდა-
ლული საქონელი მავოვნინოს!




— რატომ არ უთმობთ, ახალგაზრდავ, ბავ-
შვინა ქალს ადგილს?
— მაგხელა რომ ვიყავი, მეც დედოფლს ვე-
ჭირე ხელში!



ათენის სამხედრო სუნტა იბრძვის კვიპროსის სა-
ბერძნეთთან შესაერთებლად, რათა კუნძულის კარი
გაუღონ ნატოს სამხედრო მანქანას.


ტროადის ცხენი

ცენტრალური ამერიკის ქვეყნებს შორის, ვითომდა
ფეხბურთის მატჩის გამო, მოხდა კონფლიქტი. სალ-
ვადორის არმია შეიჭრა გონდურასის ტერიტორიაზე
და დაიკავა ქალაქი.



„ცენტრალური თავდასხმელი“

ლონდონის კომერციული ბანკი
გერმანულმა დირექტორმა ჯონ სტი-
ვენსმა განაცხადა, რომ ეკონომიკურ
სიძნელეებთან ინდონეზიის გამოყვე-
ნად საჭიროდ მიაჩნევენ ამერიკის
5-ე შტატად



ახალი საშტატო პრემიული

ისრაელს სურს, არაბ სახელმწიფოებს თავს მოას-
ვიოს „თავისებური მშვიდობა“

იერიხული
გიზლირთეკა



ისრაელური მშვიდობის რტო
და მისი ნაკვალევი.



ნ.ბ. ლომიძისა

გამიღმა: — რა ბრძანებაა, ქართველ კაცს თავაზიანობაში რა
მასწავლებელი ჭირდება?

ნამუსზე შემავდო იმ ლაწირაკმა და მეც დავითათფლე:

— მოდი, რას გეტყვი იცი, შვილო? აი, მამაშვილურად გთხოვ,
დაიტოვე ეგ ორი მანეთი, შენზე ალალია!

გაციტინა და თავი გადააქნია.

— გამიგონე, ბიჭო, შენგელა შვილი მყავს, მამად გეკუთვნი,
აილე შვილო, მეცი პატივი! — დავედრიჯე, რაც შემეძლო.

— არა, ბატონო, რაც არ გეკადრებათ, რატომ კადრულობთ! —
ისევ გადააქნია თავი.

— აილე რა, შვილო, გეხვეწები! ორი მანეთია, ხუთასი მანეთი
ხომ არა? აილე, შენი ჭირიმე, გოგო გეყოლება, კინოში წაიყვანე,
ნაყინი უყიდე, კარგი, ჰო, გამომართვი რა, გამომართვი! — მოვკდი
კაცი ხვეწნა-მუდართით.

— აბა, რა საკადრისია, რა ბრძანებაა!.. — ისე წამოიწყო, მაგ-
რამ აქ აფეთქდი: — რა სულ კადრება და ბრძანება გაკერია პირზე,
ტვინი წაილე, აილე, რომ გეუბნები!

— არ ავიღებ! ახლა იმანაც მიყვირა.

— აილე!

— არ ავიღებ!

— აილე-მეთქი!

მეტი ვეღარ გავუძელი. მუხლები ამიკანკალდა. გული ამი-
ჩქოვდა...

— რა მოგივა, კაცი არა ხარ? — ვეხვეწები. — ნუ მომკალი,
ხომ არ მოგკლავს, ბიჭო, ერთი-ორი მანეთი? ხომ იღებენ კარგი მუ-
შაობისათვის პრემიებს და ვითომ ეგეც პატარა პრემიაა, შვილო,

უბრალო მყიდველისაგან; სულ პატარა, ერთი ბეწო პრემია. აილე,
რაა, აილე! გავთავდი კაცი, რა დაგიშავე, ჩემი სიკვდილი გინდა?
ე ბიჭო, გამომართვი!

მე სადაცაა გული წამივიდოდა და ის კი იდგა, როგორც სალი
კლდე ვიგლეჯ ყელს, ვეხვეწები, ვეშუდარები და თქვენც არ მო-
მიკვდეთ! დგას ისევ ისე წარბეჭუნებულად. რომ გავეტყავებინე იმ
ბიჭს, ათასჯერ მერჩინა.

სახლში მივედი. მივეგდე ტახტზე და ორი კვირა გარეთ აღარ
გამოვსულვარ. ავად გავხდი. ვიწვექი ლოგინში, მაგრამ ძილი მე
აღარ მქონდა და მოსვენება. ღამდამოხმით მაინც სულ ის ბიჭი მე-
ლანდებოდა. ვეხვეწებოდი და ვეხვეწებოდი ხმის ჩახლევამდე. შუა-
ღამეს ფეთიანივით წამოფეხდებოდი საწოლში და გავიძახდი:

— აილე, ბიჭო! აილე, შვილო! გეხვეწები, ნუ მომკალი კაცი!

გადამერია ცოლ-შვილი. დამასიეს ექიმები და, როგორც იქნა,
წამომაყენეს ფეხზე.

ისევ გავწვიე კიოსკისაკენ, გულმა ვერ მომიტმინა. მივედი და
რას ვხედავ: ღამდგარა ერთი გადაჟინილებული ყასაბი და ბულა-
სავით მიბღვერს. თვალთ დამიბნელდა, მაგრამ თავს ძალა დავატანე
და მაინც ვკითხე.

— იმ ბიჭმა ეგრე თქვა, ვაჭრობა ჩემი საქმე არ არისო და თა-
ვი დაანება! — ამოიფშვინა ყასაბმა.

ერთი „თბილისი“ მომეცი-მეთქი და აბაზი გავუწოდე. ხურდა,
რა თქმა უნდა, არ დაუბრუნებია და მეც მშვიდალ გამოვწვიე სახლი-
საკენ.

უზრაბ რატიანი



— ღმერთო, ოღონდ ინსტიტუტში მომავყვამ და ათი ათას სანთელს დაგინთებ!
— ათი ათას სანთელს. შე კაცო, ტექნიკურში მოწყობაზემ მინთებენ.

თანამოკალმეს

ნადიმებში შენა ხარ და
კაბინეტში — მე,
ყვავილებში შენა ხარ და
ყამირებში — მე,
ქებულებში შენა ხარ და
ვნებულებში — მე,
მკიცხველებში შენა ხარ და
მკითხველებში — მე...
სადღა მნახე? გზაში მახე
რად დამიგე მე?
რა გაჩხუბებს, რა გაწუხებს,
ვერ გავიგე მე!
თანამოკალმე გქვია და
თანაც მომკალ მე!

აკაკი გელოვანი

დიხალოში განჯის ნიღზე

ეროვნული
ლიტერატურა

- ამ ხიდებს და ამ შარაგზებს შეკეთებაც არ აღირსეთ?
- ბატკნის მწვადი მაშარაბზე, თითო ჭაჭის არაყიც ზედ...
- ძმაო, რა მერაყეა, საქმე ალთა-ბალთასაა,
- სიბრყევე არ აღება, ხელი ხელს ჰბანს, ანდაზა!
- დავამთავროთ რევიზია! — ძალიან გთხოვთ, მასპინძლებო!
- თვით სტუმრების დევიზია: „მაჭამეთ და მასვით, ძმებო!“
- რად არ იძენთ ინვენტარებს ბანკში ფულის გადარიცხვით?
- მაშინ ვინდა ინეტარებს, მაღარიჩს ვჭამთ, განა სირცხვილს?
- ფაქტურები არ ემთხვევა, რით გესურს, თავი გავიმართლოთ?
- ამ სარდაფში ვერ ვეტყვით, რესტორანში გავიმართოთ!
- კიდევ რაღა გელოდებთ, ღვინისთვის რომ დაფაცურდით?
- ჭურის თავზე გელოდებთ ხონჩა თავის დაფა-ზურნით!
- ვერ აკინძეთ საბუთები, ხელებში რომ იჩენჩება?
- უპურღვინოდ ვძაბუნდებით, რასაც შევჭამთ, ის შეგვრჩება!
- ვცნობ ბნელ საქმის მოჭიდავეს, ბოლოს წვერს რომ იგლიჯება,
- რა ჯობს შემწვარ გოჭის თავებს, ლამბაქზე რომ იკრიჭება?!
- რესტორნებში ბორიალი გამოდგება შენს საბუთად?
- ბავშვებისთვის როიალი გაგიმზადდეთ შესაფუთად!
- ქრთამს არამცთუ ასე ცხადად, არ ვღებულობ სიზმარშიაც,
- ლოქო დაეჭრათ ჯამზე ცხლად-ცხლად, თუ ჩავაწყით ქინძ-ძმარშია?
- დავამთავროთ ეს კონცერტი, გელოდება ყველას დახსნა...
- გამომართვით ეს კონცერტი, გთხოვთ, რომ წახვალთ, გზაში გახსნათ!

— : —

... იმ კონცერტში მართლაც გახლდათ ჩაწყობილი ათასები, რევიზორმაც გახსნა, მაგრამ... პროკურორის თანდასწრებით.

მიხეილ გომეზილი

ნახ. ვ. ფირცხალაშასი



— რას გავს, კაცო, აკაურობა? თუ ავღები, ჩემი ფეხით მივალ სა-მინისტროში!
— თუ ავღები, კი!

დანაშაული და... ჯილდო

უწყება

3. თბილისის საგზაო ტრანსპორტის მუშაობისათვის საზოგადოებრივი კონტროლი

საქალაქო კომისიის თავმჯდომარის ახს. *მამუკაშვილი*

№ 65

აქტის მიხედვით მივიღეთ ზომები


*1/6 19/12-1 ვიწრო 3 მანქანაზე მძღოლ
ფონს და ნივთების ციხეხედნის მიღების
თვალს, კონფისქცია ზუსტ ემს-ტ გზაზე
მომოსხროთა იქნ კონფისქციათს თანავე
16 ივრისი. მანქანა და ვაჭარები იქნ მძღოლ*

P/59

გაბიევის № 19

უფროსი (დირექტორი)

ტ. 11, ფ. 1339 ტ. 1590



ის, რაზედაც ქვემოთ გვქმნება ლაბარაკი, შეიძლება არც კი დაგვეწერა, რომ საკანცელარიო მწერლობის ისტორიაში უნიკალური შემთხვევა არ იყოს.

ჩვენს ხელთაა ორი საბუთი: ერთი ბრძანება, ხოლო მეორე უწყება სამგზავრო ტრანსპორტის მუშაობისადმი საზოგადოებრივი კონტროლის საქალაქო კომისიის თავმჯდომარის სახელზე.

ორივე საბუთი გაცემულია ტრამვაის დეპო № 1-ლის ხელმძღვანელობის მიერ. ორივე საბუთი ეხება ერთსა და იმავე ფაქტს და ერთსა და იმავე პირს, კერძოდ, შურა პეპოს ძე გაბიევს. ორივე საბუთი გაცემულია ერთსა და იმავე დღეს — ა/წ. — 19 იანვარს.

ბრძანების მიხედვით, გაბიევს გადაუყვანია 7 უბნითაა მგზავრი, ხოლო უწყების მიხედვით — 3.

ბრძანების მიხედვით, გაბიევი სისტემატურად არ ასრულებს გეგმას, უწყებაში კი ამის შესახებ სიტყვაც არაა თქმული.

ბრძანების მიხედვით, გაბიევს გამოეცხადა საყვედური და ვინაიდან დაუბრუნეს „ვაგონის მართვის უფლება“, წინადადება მისცეს მძღოლად გადასვლაზე. (წინადადებას ზოგჯერ რაციონალიზატორულსაც არ ღებულობენ და ხომ შეიძლება, გაბიევსაც უარი ეთქვას? თუმცა რა ჰქონდა უარის სათქმელი)

უწყებაში კი ნათქვამია, რომ გაბიევი „ჩამოხსნილ იქნა კონტროლობის თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნა მძღოლად“. (გაბიევი უფრო ადრე მძღოლად

ბიდან გადაიყვანეს კონტროლად, ვინაიდან საგზაო შემთხვევის დროს მას ჩამოერთვა ტრამვაის მართვის უფლება. ამჯერად დააშავა და ისევ გადაიყვანეს მძღოლად, როგორც იტყვიან, ჯალდსური წრეა).

მაგრამ ყველაფერი ეს წვრილმანია. აქ ყურადღებას იპყრობს სულ სხვა მხარე. საქმე ისაა, რომ ტრამვაის დეპოს ხელმძღვანელობას შეუშუშავებია დასჯის ახალი მეთოდი, თუ შეიძლება ასე ეწოდოს „დაწინაურების მეთოდი“.

როგორც ვნახეთ, გაბიევი ნაკლებხელფასიან სამუშაოდან, დანაშაულის ჩადენის შემდეგ, გადაიყვანეს მეტხელფასიან სამუშაოზე.

მიბრძანდით, სადაც გენბავთ, თუნდაც არქივში და გადაქექეთ ბრძანებათა წიგნების მთელი ტომები; მსგავს შემთხვევას ვერსად ნახავთ!

თუ ამ მეთოდმა გაამართლა და იგი სხვაგანაც დაინერგა, მაშინ შეიძლება შევხვდეთ ასეთი შინაარსის ბრძანებასაც:

„ა. წ. 19/VI-ს რესტორანში შვიდი მომსახურებისათვის ზედმეტი ანგარიშის წარდგენისათვის, ცუდი მომსახურებისათვის, გეგმის სისტემატურად შეუსრულებლობისა და თვითნებობისათვის, ოფიციალტ მავან და მავანს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური და გადაყვანილ იქნეს რესტორანის დირექტორად“.

გარინჩა



მთავარი
ჩელაქტორის
მოადგილე
გიორგი ნიშნინიძე

სარედაქციო
კოლეგია:
ნ. ლუმაბაძე
(მთავარი
რედაქტორი)
ზ. გოლჭავაძე
(პ/მ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. გალაგონია,
ნ. შველიძე,
ო. ჭელიძე.

საბირისა და იუმორის
შუბნალი „ნიანგი“.

თბილისი, ჯუსთავლის
პროსპექტი № 42.

Тбилиси, Сатирико-
юмористический
журнал «Нианги».
ბმლ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მოადგილის
93-49-32.
საერთო განყოფილების
93-10-78.

საქ. გვ. ცვ.ის გამომცემ-
ლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ.

გადაცვა ასაწყობად
29/VII-69 წ.
ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 20/VIII-69 წ.
ჰალაღის ზომა
70×108¹/₈.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურ-
ცელი 1,
პირობითი ნაბეჭდი ფურ-
ცელი 1,4.
საქ. გვ. ცვ.ის გამომცემ-
ლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ.
№ 14.

ГИПОГРАФИЯ ИЗД-ВА
ЦК КП ГРУЗИИ
ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-
НА № 14


შეგ. № 2005.
შეგ. № 2305.
შეგ. 00877.



КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

— ჩვენს სანატორიუმში იმ იმარნობთ თავს, როგორც საშუა-
საბუთი!

— რას გრძნობთ, გაბიევი? მე დასასვენებლად ჩამოვმდი!



ნ. ჯ. ლომუასი

69-556

საქართველოს
ბიბლიოთეკა

22

1969



— სომ გეუზნებოდი, წუნეთ-
ში გუდეს ნუ ავიზენებთ-
მეთქი?!

7.3.69